აჭარის წყლის
ალიანსი

№ 132
19/V/2020 წ.

www.awa.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

თემა: სკრინინგის აპლიკაციის წარდგენა

გაცნობებთ, რომ გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში (ასევე ევროკავშირის დამატებითი დაფინანსებით) ხორციელდება დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების გაწმენდის პროგრამა აჭარაში, რომელიც ეხება აჭარის დაბებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და მშენებლობას. პროგრამის განმახორციელებელია სააქციო საზოგადოება „აჭარის წყლის ალიანსი". პროგრამის პირველი ფაზა დაიწყო 2019 წლის სექტემბერში და ის გაგრძელდება მომდევნო 5 წლის განმავლობაში.

პროგრამის მიზანია აჭარის დაბებსა და სოფლებში წყალმომარაგების, წყალარინების სისტემებისა და ჩაშვებული წყლის გაწმენდვის გაუმჯობესება, განსაკუთრებით მომსახურების ხელმისაწვდომობის, მდგრადობისა და საიმედოობის მხრივ და შესაბამისად დაბებისა და სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს სიღარიბის დაძლევას და ასევე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების უკეთესად დაცვას. პროექტი ასევე შეავსებს "კომუნალური ინფრასტრუქტურა საქართველოს" პროგრამას, რომელიც შემოიფარგლებოდა მხოლოდ ბათუმითა და მისი ახლომდებარე მუნიციპალიტეტებით.

პროგრამა მოიცავს მარტივი მცირემასშტაბიანი საკანალიზაციო ქსელისა და სეპტიკური ავზების მშენებლობას ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების სოფლებში. საქმიანობის მასშტაბის შესაბამისად, დაგეგმილი სამუშაოები განეკუთვნება საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართს (9.6, 10.6).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებებს (ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა მუხაესტატეში, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ.დიოკნისსა და ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. ტიბეთაში) წყალარინების სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით და გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას პროექტით დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარება თუ არა სკოპინგის პროცედურას.

თანდართული დოკუმენტების წუსხა - სულ 45 (ორმოცდახუთი) ფურცელი:

- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისში გამწმენდი ნაგებობების/სეპტიკური ავზების მოწყობის გარემოსდაცვითი სკრინინგის ანგარიში - 15 (თხუთმეტი) ფურცელი;
- ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბეთაში გამწმენდი ნაგებობების/სეპტიკური ავზების მოწყობის გარემოსდაცვითი სკრინინგის ანგარიში - 15 (თხუთმეტი) ფურცელი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეს მეურნეობის დასახლებაში გამწმენდი ნაგებობების/სეპტიკური ავზების მოწყობის გარემოსდაცვითი სკრინინგის ანგარიში - 15 (თხუთმეტი) ფურცელი;
- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისის, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბეთასა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეს მეურნეობის დასახლების საკანალიზაციო ქსელების შეიფ-ფაილები.

პატივისცემით,

თეიმურაზ ბედინაძე
დირექტორი

საქართველო, აჭარა, ბათუმი, 6010, კ.გამსახურდიას ქუჩა #1, ოფისი #4-7, ტელ: (0422) 278686, Info@awa.ge www.awa.ge

k.Gamsakhurdia St #1, Office #4-7, 6010, Batumi, Ajara, Georgia Tel (0422) 278686, Info@awa.ge www.awa.ge